ხაშურის მოამბე

№6 (187) 11 თებერვალი, ორშაბათი, 2019 წელი

საკრებულოს სესია

5 თებერვალს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

საკრებულოს წევრებმა სესიაზე 13 საკითხი განიხილეს. გადაუდებელი აუცილებლობისგან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა საკრებულოს ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებაში. დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა.

სესიაზე წარმოდგენილი იქნა ხაშურის მერიის ეკონომიკური სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწული საქმიანობის შესახებ(იხილეთ მეორე გვერდზე). საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილი ანგარიში და მერიის ეკონომიკური სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

ახალი საგრანტო პროგრამები მოქმედებას იწყებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე მერის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის ხელმძღვანელი გიგა ბუგიანიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები.

გუბერნატორის მოადგილემ და სტუმრებმა მერის წარმომადგენლებს გააცნეს ის საგრანტო პროგრამები და შესაძლებლობები, რასაც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები რეგიონის მასშტაბით ახორციელებენ და ისაუბრეს, თუ როგორ შეუძლიათ დაინტერესებულ მოქალაქეებს ამ პროგრამებით სარგებლობა.

მერის წარმომადგენლები მიღებულ ინფორმაციას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაავრცელებენ, რათა დონორი ორგანიზაციების შემოთავაზება მაქსიმალურად ბევრი მოქალაქისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველმა სურამის განახლებული ფსიქიატრიული ყლინიკა მოინახულა

2019 წლის 5 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ სურამის განახლებული ფსიქიატრიული კლინიკა მოინახულა და დაწესებულების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების შედეგებს გაეცნო.

ნინო ლომჯარიამ სურამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პირველი ვიზიტი 2018 წლის მარტში განახორციელა, როდესაც იქ არსებული ინფრასტრუქტურა და პირობები ბენეფიციარებისთვის ღირსების შემლახავ გარემოდ შეაფასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - პაციენტების ადამიანის ღირსებასთან თავსებად პირობებში განთავსების დაუყოვნებლივ უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების და პაციენტთა მძიმე ყოფის ამსახველი ფოტომასალის გავრცელების შედეგად, სურამის ფსიქიატრიული კლინიკის მენეჯმენტში განხორციელდა ცვლილებები და დაიწყო მასშტაბური სარემონტო სამუშაოები, რომლის ფარგლებში, სრულად განახლდა საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, კომუ-

ნიკაციები, შიდა ინფრასტრუქტურა; მოწესრიგდა კვების საკითხი; თუმცა, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება.

მიუხედავად სურამის დაწესებულების პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანთა დიდი ზომის ინსტიტუციებში ცხოვრება ვერ ჩაითვლება მათი უფლებების დაცვის მაღალ ხარისხად. ამ მიმართულებით, ქვეყანაში კვლავ სერიოზული გამოწვევებია. დღეისათვის 10 დიდი ზომის ფსიქიატრიული დაწესებულება ფუნქციონირებს, სადაც არსებული პირობები და თერაპიული გარემო ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ღირსეულ ცხოვრებასა და უფლებების დაცვას.

ნინო ლომჯარია იმედოვნებს, რომ პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო უწყებები უმოკლეს ვადებში გადადგამენ ეფექტიან ნაბიჯებს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში თემზე დაფუძნებული, მათ შორის, საოჯახო ტიპის მომსახურებების განვითარების ხელშესაწყობად.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №10

2019 წლის 5 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2019 წლის 5 თებერვლის სხდომაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, მოისმინა ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც საკრებულოს მიერ შეფასდა დადებითად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადებითად იქნას შეფასებული ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15) .

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ 2018 საბიუჯეტო წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა, კეთილმოწყობის განყოფილების მიზანმიმართული ღონისძიებები ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ხაშურში, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მიზნით.

წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისა და ყოველდღიური საქმიანობის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელიც მოიცავს - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა -შენახვის, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების, სარწყავი და ღვარსადენი არხების გაწმენდის, გარე განათებების მოწყობის, დასუფთავებას და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად მიმართულ ღონისძიებებს.

სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოეყო 3 007 281 ლარი აღნიშნული თანხები გადანაწილდა შემდეგ პროექტებზე.

1. სოფელ ქვიშხეთში, გზის მოასფალტება - 955 925 ლარი;
2. სოფელ ტეზერში შესასვლელი გზის მოასფალტება - 541 000 ლარი;
3. დაბა სურამში, 26 მაისის ქუჩის მოასფალტება - 542 401 ლარი;
4. სოფ.ზემო ოსიაურში, გზის მოასფალტება - 913 449 ლარი;
5. დაბა სურამში წმინდა მარიამის ქუჩის მოასფალტება - 212 145 ლარი;
6. დაბა სურამში, ლესია უკრაინკას ქუჩის მოასფალტება - 282 145 ლარი;
7. დაბა სურამში 26 მაისის ქუჩის მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა - 44 955 ლარი.

სამუშაოები განხორციელდა ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, კერძოდ:

1. ქ. ხაშურში, ასათიანის და ოსტროვსკის ქუჩებზე, საკანალიზაციო ქსელის მოწყობა - 35 983 ლარი;
2. სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება - 40 000 ლარი;
3. რბონის ხიდის რეაბილიტაცია - 38 611 ლარი;
4. სათივის ხიდის რეაბილიტაცია - 13 242 ლარი;
5. სოფელ ცხრამუხის სტადიონზე გასახდელების და სველი წერტილების მოწყობა - 47 187 ლარი;
6. სოფელ ალის საჭიდაო დარბაზში იატაკის რეაბილიტაცია - 22 125 ლარი;
7. სოფელ წრომში, საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა - 22 080 ლარი;
8. დაბა სურამში, ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა - 60 202 ლარი;
9. ქ. ხაშურში, სპორტკომპლექსის დარბაზის კეთილმოწყობა - 421 000 ლარი;
10. სოფელ ტეზერში, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - 22 000 ლარი;
11. სოფ. ქვიშხეთში და გომში მინი სტადიონების მოწყობა - 100 000 ლარი;
12. ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქუჩაზე ღობეების მოწყობა - 43 000 ლარი;
13. სოფ. ქინძათში, ხიდბოგირის მოწყობა - 23 990 ლარი;
14. ქ. ხაშურში, ბანის სამონასტრო კომპლექსამდე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა - 105 000 ლარი.

სულ ჯამში - 1 003 778 ლარი.

საანგარიშო პერიოდში, სამსახური, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებდა საზედამხედველო ფუნქციებს, ასევე მსხვილ პროექტებზე ზედამხედველობას უწევს ტენდერში გამარჯვებულ კომპანია შპს „ოპტიმალ გრუპ+“-ს. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ კონტრაქტორ კომპანიებთან, სამინისტროსა და სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში შემავალ სამსახურებთან და ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული არიან და ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ინფორმაციები პროგრამის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვირეულად იგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში და გუბერნიაში. მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ პროცესების ნორმალურად წარმართვასა და სამუშაოების დროს წარმოქმნილი პრობლემების ოპერატიულად აღმოფხვრას.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურს განცხადებით მომართა არაერთმა მოქალაქემ სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად ფულადი დახმარების ან სამშენებლო მასალების გამოყოფის თაობაზე. ასეთ განცხადებათა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. სამწუხაროდ, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართებით მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნები უსაფუძვლოა, საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები, განსაკუთრებით სახურავებთან მიმართებაში, მათი სიძველითაა გამოწვეული და არა რაიმე სახის სტიქიური მოვლენის გამო. ზარალის დამდგენ კომისიასთან ერთად, უნდა შევიმუშაოთ დამატებითი ღონისძიებები ამ მიმართებით შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრისა და მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის.

აქტიურად ვითანამშრომლებთ მრავალსაცხოვრებელ ბინებში შექმნილ ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობებთან. მუნიციპალიტეტში სულ 48 ამხანაგობაა ამ ეტაპზე რეგისტრირებული. ადგილებზე გასვლით, მოხდება მობინადრეთა ინფორმირება ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების უპირატესობის, ამხანაგობის მიერ საერთო ქონებით სარგებლობის, მისი გამოყენებისა და განკარგვის, თანადაფინანსების პრინციპით საცხოვრებელ სახლებში არსებული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვფიქრობთ, მომავალში უნდა გამოვიყენოთ ამ მიმართებით სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილება და ბინისმესაკუთრეები აქტიურად ჩავრთოთ, თანადაფინანსების პრინციპით, მათივე პრობლემების მოგვარებაში, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას დაფინანსება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა საცხოვრებელი სახლების ეზოების, მისასვლელი გზების, სადარბაზოების შეკეთება და კეთილმოწყობა.

შემოსულია მოქალაქეთა 3048-მდე განცხადება და წერილი. დასმული საკითხები, უმეტესწილად, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებასთანაა დაკავშირებული. მათი უმეტესობა კომისიურადაა შესწავლილი და გაცემულია არგუმენტირებული პასუხი. საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან დანახარჯებს არ საჭიროებენ, მოგვარებულია. დანარჩენები აღრიცხულია, შეძლებისდაგვარად იქნება გათვალისწინებული და შესაბამისი ზომები მიღებული.

სამსახური მოტივირებულია და ყველაფერს გააკეთებს მასზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობების შესასრულებლად, რითაც თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისა და ამ მიმართებით ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2018 წ. გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველო-

(დასასრული III გვერდზე)

(დასასრული)

ბის კოდექსის შესახებ“ ორგანული კანონის; საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669 და 20.02.2014წ. №189 დადგენილებების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში 2018 წ. დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3-ობიექტი: 1. დაბა სურამი, კოსტავას ქ. №2, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ 69.04.61.352) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა; 2. დაბა სურამი, რუსთაველის ქ. №139 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ 69.04.62.409) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა; 3. ხაშური, წმინდა ნინოს ქ. №1, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ 69.08.53.918) 1637 კვ. მ. მიწის ნაკვეთი; ხაშურში, იმერეთის ქ. №103-ში მდებარე უძრავ ქონებაზე გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება (ს/კ 69.08.59.198.01.500), ხოლო რაც შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 724 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითად (განუსხვისებელ) უძრავ ქონებას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6.03.2018 წ. №24 განკარგულებით, შეეცვალა სტატუსი და გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი პრივატიზების შესახებ. აუქციონი შედგა და აღნიშნული უძრავი ქონება გაიყიდა 110 000 ლარად. გადმოცემის პროცესშია ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2754 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ.69.08.58.028). მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 აგვისტოს №113 განკარგულებით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, განხორციელდა აღნიშნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება, ამ ტერიტორიაზე გამიზნული იყო იუსტიციის სახლის მშენებლობა, რაც არ განხორციელებულა, ხოლო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, ხაშურის მუნიციპალიტეტმა, იუსტიციის სახლის ასაშენებლად, სახელმწიფოს გადასცა ხაშურში, თამარ მეფის ქ. №9-ში მდებარე 3766 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ. 69.08.58.236. მივიღეთ საპრივატიზებო გეგმის პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზების შესახებ. მზადების პროცესშია, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე (ს/კ 69.08.60.366) და ხაშურში, ბექაურის ქუჩაზე (ს/კ 69.08.65.021) მდებარე უძრავი ქონებების პრივატიზაციის გეგმის მიღება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, 2018 წ. მომზადდა 14 პროექტი. აქედან 2 განცხადებაზე მომზადდა უარის ბრძანების პროექტი, 12 განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა ბინის საკუთრების უფლების მოწმობა.

მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში 2018 წ. შეყვანილია -38 ბენეფიციარი.

საკრებულოს თანხმობით, მივიღეთ საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი,რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდა ელექტრონული აუქციონის წესით. მომზადდა პროექტი ელექტრონულ აუქციონზე გასატანად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. გომში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (ს.კ. 69.02.65.204), 64,4 კვ.მ. უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით. მივიღეთ საპრივატიზებო გეგმის პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად, სავარაუდოდ, მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზების შესახებ. მზადების პროცესშია, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე (ს/კ 69.08.60.366) და ხაშურში, ბექაურის ქუჩაზე (ს/კ 69.08.65.021) მდებარე უძრავი ქონებების პრივატიზაციის გეგმის მიღება.

ხაშურისა და დაბა სურამის სასეირნო პარკებში ატრაქციონების განსანთავსებლად, გაფორმდა ხელშეკრულებები იჯარით გასაცემი ფართების შესახებ .

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შეუფერხებლად წარმოებისათვის, მოწესრიგდა საარჩევნო კომისიების განსათავსებლად,52 საარჩევნო უბანი,მათ შორის,5 საარჩევნო უბნისათვის შეირჩა სათანადო შენობა-ნაგებობა და კერძო პირებთან გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება.

მომზადდა პროექტები ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სურამში და სოფ. ცხრამუხაში მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის შესახებ, აგრეთვე ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლას“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გადავეცით უძრავ-მოძრავი ქონება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ 2018 საბიუჯეტო წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

ხაშურის მუნიციპალიტეტის 100 % -იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია 5 შპს, რომლებიც ორიენტირებულები არიან საბალანსო მოგების მიღებაზე და თავის საქმიანობას ახორციელებენ კანონის სრული დაცვით.

1. შპს სურამის სადაბო პოლიკლინიკის (ს.კ 243861228) შემოსავალმა 2017-2018 წელს სულ შეადგინა 142 605 ლარი, აქედან, ამბულატორიულმა მომსახურებამ -116 864 ლარი, შიდა სტანდარტებმა-25 741 ლარი. გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა- 140 029 ლარი. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულია საბალანსო მოგება 2576 ლარი. ამბულატორიას ემსახურება 40 თანამშრომელი.

2. შპს ხაშურის დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სამსახურის (ს.კ 243861148) შემოსავალმა სულ შეადგინა 28 244 ლარი, გაწეულმა ხარჯებმა 27 204 ლარი, რის შედეგადაც მიღებულია მოგება 1040 ლარის ოდენობით. საზოგადოებას ემსახურება 5 თანამშრომელი.

3. შპს არქიტექტორის (ს.კ 243889903) მომსახურებიდან შემოსავალმა სულ შეადგინა 25 105 ლარი. 2017-2018 წელს მიღებულია ზარალი. საზოგადოებას ემსახურება 3 თანამშრომელი, პერიოდულად შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ჰყავთ ხელშეკრულებით დაქირავებული თანამშრომლები.

4. შპს ტეზრის საექიმო ამბულატორიის (ს.კ 243861148) შემოსავალმა სულ შეადგინა 855 ლარი. გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 669 ლარი და ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულია მოგება- 186 ლარი. საზოგადოების ასეთი მცირე შემოსავალი გამოწვეულია, საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის უფასო მომსახურებით. ამბულატორიაში დასაქმებულია 3 თანამშრომელი.

5. შპს ქვიშხეთის საექიმო ამბულატორია თავის საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის უფასო მომსახურებას, რის შედეგადაც საზოგადოებას არ გააჩნია შემოსავალი. ამბულატორიაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი.

მიმდინარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს ოაზისის“, შპს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“, შპს „სანიტარული დასუფთავების“ და შპს „ნათების“ ლიკვიდაციის პროცესი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებზე გადაცემული იქნა სარგებლობის ფორმით სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონება. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში 2018 წ. მერის რეზოლუციით დაგვეწერა 2400-მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

2018 წელს, მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (სულ 130 ერთეული) - შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 105 პროექტი, შეთანხმებულია 25 დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული 20 მიწის ნაკვეთების საზღვრები - პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 115 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 27, საცხოვრებელ სახლებზე - 33, კომერციულ ობიექტებზე - 19, დემონტაჟი - 7, რეკონსტრუქცია - 12, სასაწყობე შენობებზე - 3, ანძა - 2, ქარხანა - 1, სასტუმრო - 2, ავტოფარეხი - 5, დამხმარე სათავსო - 4.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 99940 ლარი.

შედარებისთვის, მოვიყვანთ წინა წლების სტატისტიკურ მონაცემებს:

2010 წელს გაიცა მშენებლობის 30 ნებართვა;
2011 წელს გაიცა მშენებლობის 34 ნებართვა;
2012 წელს გაიცა მშენებლობის 57 ნებართვა;
2013 წელს გაიცა მშენებლობის 67 ნებართვა;
2014 წელს გაიცა მშენებლობის 84 ნებართვა
2015 წელს გაიცა მშენებლობის 125 ნებართვა;
2016 წელს გაიცა მშენებლობის 127 ნებართვა;
2017 წელს გაიცა მშენებლობის 132 ნებართვა;
2018 წელს გაცემულია 115 ნებართვა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ#5“)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

როგორც ვხედავთ,სასოფლო საზოგადოებებში შემავალი სოფლების სია სრულყოფილი არ არის, მასში არ გვხვდება მთელი რიგი დასახლებული პუნქტები,რომლებიც ამ დროს რაიონის ტერიტორიაზე არსებობდა.

ამ მხრივ უფრო სრულყოფილია 1886 წლის საოჯახო აღწერის მონაცემები. ამ დროისათვის რაიონის ტერიტორიაზე 12 სასოფლო საზოგადოებაა 83 დასახლებული პუნქტით. ეს საზოგადოებებია:

ქვიშხეთის (ბედლითი,ბულბულისციხე,ქვიშხეთი,მონასტერი,სარმანიშვილისკარი,ტაშისკარი),ალის (ალი, უწლევი), ვაყის (აგარები, აძვისი, ვაყა, ზემო გომი, სატივე), იტრიის (ბიჯნისი, ბუღაურა, ზეკოტა, ზინდისი,იტრია,ქემფერი,ოძისი,ურთხვა,ცედანი,ციფწყარო,ცოცხნარა,ჩუმათელეთი),ნაბახტევის (ახალუბანი,ბრილი,დუმაცხოვი,კლდისწყარო,ქინძათი,ნაბახტევი,ახალი ფლევი,ზემო ფლევი,წაბლოვანა), ოსიაურის (ახარმა,ახალსოფელი,ლუბრუმა,ოსიაური),სურამის (კაკალათხევი,სურამი),ტეზრის (ბეკამი, ყიფიანთუბანი,სავანლის ტეზერი,ტეზერი),ხცისის (ალექსანდრეს წყარო, ბანის წყალი, ვაკეპანტები, ღართა, ღუდა, დამჩხეული, დედაღვთის საყდარი, ჯვართმუხა, ძმა, კრისხევი,დიდი კრისხევი,ახალი კრისხევი, ზემო მიწობი, ქვემო მიწობი, ღვრიაწყალი, სათიბები, სარტყელა, თაგვეთი,დიდი თხილნარა,პატარა თხილნარა,ქვემო ხალები,ზემო ხალები, ხცისი, წვიმიეთი, შვლისყური), წაღვლის (ბროლოსანი, კლდისწყარო, ლომისი, მურყნისწყარო, ნინისი, ტიტვინისწყარო,ტკოცა,ულუმბა,წაღვლი,მცხეთისჯვარი,ჩორჩანა),წრომის (ახალშენი,ვაკენასოფლარი, ყელეთი,ხავლეთი,წრომი) და ზემო ჭალის (ხაშური,ცხრაშუხა,ზემო ჭალა).

1886 წლის აღწერა უფრო ზუსტად გვაწვდის ამ პერიოდისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების სიას,თუმცა მასაც აკლია მთელი რიგი სოფლები.

ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ,1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,ხაშურის რაიონში კვლავ 83 დასახლებული პუნქტია,აქედან 1 ქალაქი,1 დაბა და 81 სოფელი. ამ დროს რაიონში იყო 1 საქალაქო, 1 სადაბო და 12 სასოფლო საბჭო.

სადაბო და სასოფლო საბჭოების შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

სურამის სადაბო საბჭო – ბიჯნისი,ბუღაურა,გვერდისუბანი,დიდი ბეკამი,ზეკოტა,იტრია,პატარა ბეკამი,სურამი,ურთხვა,ჩუმათელეთი.

ალის სასოფლო საბჭო – ალი, ახალუბანი, ბრილი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, მცხეთისჯვარი,ნაბახტევი,უწლევი,ქინძათი.

გომის სასოფლო საბჭო – აგარები,დიდი სატივეგომი,ვაყა,პატარა სატივე,ქვემო აძვისი,ხიდისყური.

ოსიაურის სასოფლო საბჭო – ახალსოფელი,ზემო ოსიაური,ქვემო ოსიაური.

ფლევის სასოფლო საბჭო – დიდი ფლევი. ნაცარგორა,პატარა ფლევი,ტკოცა.

ქვიშხეთის სასოფლო საბჭო – ბედლითი,ბულბულისციხე,მონასტერი,რუსაანთუბანი,სავანისუბანი, სათივე,სარმანიშვილისკარი,ტაშისკარი,ტეზერი,ქვიშხეთი,ყიფიანთუბანი.

ცოცხნარის სასოფლო საბჭო – ოძისი,ქემფერი,ცედანი,ციფწყარო,ცოცხნარა,წაბლოვანა.

ცხრამუხის სასოფლო საბჭო – დამჩხეული,თაგვეთი,რბონა,ქაშვეთი,ცხრამუხა.

წაღვლის სასოფლო საბჭო – ზემო ბროლოსანი,კლდისწყარო,ტიტვინისწყარო,ქვემო ბროლოსანი, ყობი,ჩორჩანა,წაღვლი,წედვერი.

წრომის სასოფლო საბჭო – ახალშენი,დიდი ყელეთი,დიდი ხავლეთი,იმერლიანთკარი,ნადარბაზევი, პატარა ყელეთი,წრომი.

ხალების სასოფლო საბჭო – ალექსანდრეს წყარო,დიდი ხალები,სარტყელა,ღართა,ღვრიაწყალი.

ხცისის სასოფლო საბჭო – დიდი თხილნარა,კრისხევი,მიწობი,პატარა თხილნარა,ხცისი.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შეიქმნა მუნიციპალიტეტი, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს,1 დაბას,11 თემსა და 77 სოფელს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით თითქმის ასეთივე მდგომარეობაა რაიონში 2010 წლისთვისაც.

* * *

ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩვენ მიერ აღრიცხულია 130-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. აქედან გარკვეული ნაწილი წინა საუკუნეებში მოიშალა (კვართისა, ძლევერი, ბობოკინი, გუდეთი...), ხოლო უფრო მეტი XX საუკუნის 40-60-იანი წლებიდან აღარ არსებობს და ნასოფლარებს წარმოადგენს (კოდისწყარო, ქაშვეთი, ჯვართმუხა, ღუდა, შლუკერი, ნარუჯები, დანძილები, ძმა, სათიბები, ბნელეთი, ულუმბა,ნინისი,ჭოშორა,ლუბრუმა,თერგვისი,ახარმა,ნიკორთი,ტბა...).

მუნიციპალიტეტის სოფლების ერთი ნაწილი დღეს ზოგიერთი დასახლებული პუნქტის უბნებად არის წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ხაშურის – ზემო ჭალა, შინდარა და გორათი, სურამის – ზინდისი,ჯაფენაური,ბაიანთხევი,ბუღაურა... ხცისის – წვიმიეთი,ქვიშხეთის – შილისპირი და სხვა.

მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებისათვის მძიმე აღმოჩნდა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი. განსაკუთრებით,ეს ითქმის მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს,თრიალეთის კალთებზე შეფენილ სოფლებზე,რომლებიც ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად მოიშალა (ალექსანდრეს წყარო, თხილნარა, ღართა...), მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ აღდგა და მოსახლეობის ერთი ნაწილი,რომლებიც ამ სოფლებიდან იყო წასული,უკან დაბრუნდა.

თითქმის ყველა ნასოფლარს, საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელების პერიოდში (XX ს-ის 90-იანი წლები), დაუბრუნდნენ ამ სოფლებიდან გადასახლებული მცხოვრებლები, მათი შთამომავლები,და მოხდა მათი ნაწილობრივ აღდგენა.

ქართული და უცხოენოვანი ისტორიული წყაროებიდან ჩანს,რომ ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ხაშურის რაიონი თავიდანვე ქართული მოსახლეობით არის წარმოდგენილი,დასახლებული. ამიტომ აქაურ ტოპონიმიაში ძირითადად სწორედ მათი ყოფა,ენობრივი მომენტები და გეოგრაფიულ სახელთა გაფორმების ოდინდელი საშუალებებია ასახული.

მართალია, აქ შემდგომში სხვა ეთნოსებიც გვხვდება – ებრაელები, სომხები, ოსები, მაგრამ მათ რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ რაიონის ტოპონიმიაზე, მხედველობაში თუ არ მივიღებთ თრიალეთის კალთებზე მდებარე ოსური მოსახლეობით დასახლებულ სოფლებს,სადაც მაკროტოპონიმია ძველია, ქართულია, მხოლოდ მიკროტოპონიმიაში გვხვდება ოსური ელემენტები, რაც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან არის დამკვიდრებული, თუმცა მათ გვერდით ქართული ტოპონიმებიც აგრძელებს არსებობას. თითქმის უმნიშვნელოა სომხური და რუსული წარმოშობის ტოპონიმები.

ქართულ ტოპონიმებში ასახულია ჩვენი ერის ისტორია,სამეურნეო ყოფა და კულტურა. ხშირად ტოპონიმი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე მიგვანიშნებს,ან ამ მოვლენით გამოწვეულ შედეგზე და სხვ. იგივე თამამად ითქმის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაზე.

ხაშურის ძირძველმა მოსახლეობამ XVIII საუკუნეში მკვეთრად იკლო, შეიძლება, ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა. ეს საუკუნე განსაკუთრებით მძიმე იყო ქართლისა და კახეთისათვის. მხედველობაში გვაქვს ე.წ. ლეკიანობა, რომელიც ძალზე მძიმე შედეგებით აღინიშნა არა მარტო ქართლ-კახეთისათვის,არამედ,საკუთრივ,ხაშურის მუნიციპალიტეტისთვისაც. იგი ისეთივე მძიმე მოვლენა იყო მთელი XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოსათვის, როგორც თავის დროზე თემურ-ლენგის თექვსმეტწლიანი შემოსევები. ისევე, როგორც მაშინ, ქართულ სინამდვილეში გაჩნდა ბევრი ახალი ტოპონიმი,რომლებშიც თემურ-ლენგის შემოსევების შედეგები იყო ასახული,ასევე,„ლეკიანობის“ შედეგადაც წარმოიშვა არაერთი ტოპონიმი, რომელშიც აისახა „ლეკიანობის“ კვალი. ასეთი ტოპონიმები მრავლად გვხვდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში. ასევე მრავლად არის გავრცელებული ამ მოვლენასთან დაკავშირებული არაერთი თქმულება თუ ლეგენდა,რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს,რომ „ლეკიანობა“ მძიმე ტვირთად აწვა ხაშურის მუნიციპალიტეტს.

ლეკიანობის შედეგად მთელი რიგი სოფლები დაიცალა. ნაწილი მოსახლეობისა,სხვა,შედარებით მშვიდობიან ადგილებში გაიხიზნა,ნაწილი – ტყვედ წაიყვანეს, ხოლო არცთუ ისე მცირე ნაწილი – ლეკებთან ბრძოლას შეეწირა. თუ რეისის საბუღალტრო 1715 წლის,თბილისის ვილაიეთის 1728 და სხვა აღწერებით კარგად ჩანს, რომ მუნიციპალიტეტი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული XVIII საუკუნის 10-20-იან წლებში,უკვე საუკუნის ბოლოს,აქაოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის“ მიხედვით,მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი სოფლებია (სატივე,ვაყა,აძვისი,ნაბახტევი,ალი, ოსიაური,გორათი,ხაშური,სურამი,ბეკამი,იტრია,ტეზერი) მოსახლეობით წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ხელმეორედ დასახლება ქართლ-კახეთის სამეფო კარის ხელშეწყობით დაიწყო იმავე XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, ხოლო უფრო ინტენსიურად კი XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან აქ სახლდებიან სამხრეთ და განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოდან გადმოსული ქართველობა. ამიტომ ხშირია შემთხვევები,რომ აქაურ ტოპონიმებში გვხვდება სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტოპონიმებიც,თუმცა,ძირითადი ფონდი მაინც ადგილობრივია.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიას არავითარი ცვლილებები არ განუცდია,მხედველობაში თუ არ მივიღებთ ორ შემთხვევას, როცა 1928-1934 წლებში ხაშურს სტალინისი ერქვა და ამავე პერიოდში სარმანიშვილის კარს რვა მარტი უწოდეს. ამ სოფელს ძველი სახელწოდება დაუბრუნდა 90-იანი წლების დასაწყისში.

თამამად შეგვიძლია,დავასკვნათ,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის ძირითადი ფონდი ქართულია და მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია არაქართული წარმოშობის.

ქრონოლოგიური ასაკის თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ტოპონიმებში, ისტორიული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება, გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი: უძველესი (XIX საუკუნემდე), საშუალო (XIX საუკუნე – XX საუკუნის დასაწყისი) და ახალი (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე).

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია, თავისთავად ცხადია, იცნობს ყველა იმ საწარმოქმნო საშუალებას რასაც,ქართული ტოპონიმია. მისი გაფორმების გზები და საშუალებებიც ძირითადად ფიგურირებენ,რაც ქართული ტოპონიმიკისათვის არის დამახასიათებელი.

წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში გავეცანით მთელ რიგ ავტორებს (ალ. ღლონტი,გ. ბედოშვილი,გ. ხორნაული. ა. ცხადაია,შ. აფრიდონიძე,ზ. ჭუმბურიძეს. მელიქიძე და სხვა),მათ შრომებს, ლიტერატურას ქართული ონომასტიკის სფეროში,რამაც, შეძლებისდაგვარად, გარკვეული ასახვაც ჰპოვა წარმოდგენილ ნაშრომში. აგრეთვე,გათვალისწინებულია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მონაცემებიც.

არაერთი მკვლევარი შიდა ქართლის ტოპონიმიაში ქართულ-ზანურ - სვანურ ტოპონიმიკურ შეხვედრებს ხედავს (ჯ. გვასალია, გ. ხორნაული, გ. ყორანაშვილი). მკვლევართა ერთი ნაწილი ხაშურის რაიონის ზოგიერთ ტოპონიმში ხედავს ქართულ-ზანურ პარალელურ ფორმებს და არაერთ ტოპონიმს სწორედ ზანურზე დაყრდნობით ხსნიან (გ. ყორანაშვილი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია არათუ ლინგვისტური,არამედ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისითაც ნაკლებად არის შესწავლილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მკვლევარების ალ. ღლონტისა და ს. მელიქიძის საქმიანობა,რომელთაც აღნუსხეს ოვი და სხვადასხვა ასპექტით შეისწავლეს. ალ. ღლონტმა გამოსცა ნაშრომი „ფრონეების ხეობების ტოპონიმია“. მაკროტოპონიმების ერთი,მცირე ნაწილის შესწავლას ეხება პროფ. შ. ქურდაძე „ლინგვისტურ ეტიუდებში“.

ის ფაქტი, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი ისტორიულ გზასაყარზე მდებარეობს, გარკვეულ გავლენას ახდენს მის ტოპონიმიაზეც. ამიტომ, მისი – შესწავლა ისტორიული, კულტურულ-საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფაცხოვრების თვალსაზრისით,მეტად საინტერესოა.

ნაშრომი ამ მიმართებით გადადგმულ მოკრძალებულ ცდად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ ოვი დაზღვეული არ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან. ყველა შენიშვნასა და რჩევას სიამოვნებით მივიღებთ, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ მუშაობაში და ასახვას ჰპოვებს ხაშურის ლექსიკონის გამოცემის დროს.

P. S. მადლობა მინდა, მოვახსენო ფატი კურტანიძეს წიგნზე მუშაობის დროს გაწეული დიდი დახმარებისათვის.


ზემო ბროლოსანი
ნაღვლი
ქვემო ბროლოსანი
ულღვეი
ბრილი
ალი
ბიჯნისი
ცედანი
ბაბლოვანა
ნაბახტევი
ზემო აძვისი
ურთხვა
ქემფერი
ქვემო აძვისი
ბეკამი
ბუღაურა
ბეკამი
ბეკამი
ბეკამი

- ერთი დღე საბავშვო ბაღში -

ბავშვებზე ზრუნვით ქვეყნის მომავალი იქმნება

ბავშვზე ზრუნვა, მისი დაბადების მომენტიდან იწყება, მასზე თანაბრად უნდა ზრუნავდეს ოჯახიც და სახელმწიფოც. მისი პირველი შეხება საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, საბავშვო ბაღიდან იწყება, სადაც ვითარდება მისი გონებრივი უნარ-ჩვევები. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა გაზეთმა, ერთგვარ რუბრიკად აქცია საბავშვო ბაღებში სტუმრობა. დღევანდელი ჩვენი მასპინძელი ვაჟის საბავშვო ბაღია. ჩვენი არჩევანი სხვადასხვა მიზეზითაა მნიშვნელოვანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბევრი რამე შეიცვალა, ან მოიშალა ქვეყანაში, ეს ყველაზე მეტად საბავშვო ბაღებს შეეხო. ამ მხრივ, ყველაზე მძიმე სიტუაციაში

სოფლები აღმოჩნდნენ-სოფლების უმრავლესობას ეს აუცილებლობა, ფაქტობრივად, მოესპოთ. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა ვაჟის საბავშვო ბაღიც. ამის შემდეგ, წლები გავიდა, სურვილი დიდი იყო, თუმცა რეალობის შეცვლა შორეულ პერსპექტივაშიც არ ჩანდა. დღეს, სხვა რეალობაა, ახალი ხელისუფლების პირობებში, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა-დიდი იყო სოფლის მოსახლეობის მონდომებაც.

კარს უკან ბავშვობა იწყება, ფერადი, უდარდელი-სხვა ემოციების და გულწრფელი ურთიერთობების. ისეთ დროს ვესტუმრე, როცა სამზარეულოდან შემოსული საოცარი სურნელი ტრიალებდა. პატარებმა მიმასპინძლეს, დაიმორცხვეს, გაწითლდნენ. საბავშვო ბაღის მენეჯერმა, ყველა ის ადგილი მაჩვენა, სადაც ბავშვებს თამაში,

სწავლა, ძილი უწევთ, სადაც მათთვის საკვები მზადდება, პირად ჰიგიენას იცავენ, გონებრივად ზრდიან. ბაღში ორი ასაკობრივი ჯგუფია. სანამ ბავშვებთან ვისაუბრებდი, მანამდე საბავშვო ბაღის მენეჯერმა მაია ნინიაშვილმა ბაღის გახსნის ისტორიაზე, აუცილებლობაზე და არსებულ პირობებზე ისაუბრა:

– როგორც ყველგან, ჩვენთანც საბჭოთა კავშირის დროს იყო საკმაოდ კარგი საბავშვო ბაღი, მოგვიანებით, გაიყიდა შენობა და ფაქტობრივად, სოფელში სხვა ალტირნატივა აღარც იყო. 2008 წელს, პოლონეთის საერთაშორისო ორგანზიაცია „ედუკატორის“ მხარდაჭერით და ერთ-ერთი ქართული არასამთავრობოს მონაწილეობით, საქართველოში 6 საბავშვო ბაღი გახსნეს, ერთი, მათ შორის, ვაჟაშიც, სკოლის შენობაში. პროექტი მხოლოდ ერთ წელს მოიცავდა, გადაგვამზადეს და აქცენტი მხოლოდ სწავლზე იყო გაკეთებული. ამ ყველაფერმა ნათლად დაგვანახა იმის საჭიროება, რომ სოფელს ჰქონოდა საბავშვო ბაღი, მშობლებსაც დიდი მოლოდინი და სურვილი გაუჩნდათ. მაშინდელმა ხელისუფლებამ დაგვაფინანსა და გავაგრძელეთ ფუნქციონირება.

ამან მშობლების დიდი აქტურობა და მონდომება გამოიწვია, ისინი თანაბრად მონაწილეობდნენ ყველა პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

- ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა პროცესები?

–ახალი მთავრობის პირობებში, ბევრი რამე შეიცვალა. თუმცა, საბავშო ბაღის მშენებლობა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დავიწყეთ. მშენებლობა ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა მცირე იყო, საბავშვო ბაღისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა იყო საჭირო, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტმა განახორციელა. ამ დროს, საბავშვო ბაღების გაერთიანება შეიქმნა და მისმა უფროსმა დავით ნოზაძემ, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, ძალისხმევა არ დაიშურეს იმისთვის, რომ ყველა პროცესი თავის ვადებში დასრულებულიყო, იქნებოდა ეს ცენტრალური გათბობის გაყვანა, ავეჯი, ინვენტარი თუ სხვა საჭიროების ნივთების შეძენა.

- ოფიციალურად როდის დაიწყეთ ფუნქციონირება?

–2016 წელს უკვე დავიწყეთ ფუნქციონირება. ორი ჯგუფი ფუნქციონირებს, 60 ბავშვზეა გათვლილი, ახლა 58 ბავშვი გვყავს. რაც არის მომართვიანობა, ვაკმაყოფილებთ სრულად.

- ნანახმა ნამდვილად გამოიწვია ჩემი კმაყოფილება, ყველა სტანდარტი დაცულია...

– ინფრასტრუქტურულად ყველანაირად გამართული პირობები გვაქვს, კვება სამჯერადია, გათბობა, სათამაშოები. ვასწავლით პირად ჰიგიენას, ვუყალიბებთ უნარ-ჩვევებს. ერთადერთი პრობლემა, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, ესაა ეზო, შემოუღობავია და ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, იმ ტერიტორიაზე ვერ გაგვყავს სათამაშოდ.

- რამდენადაც ვიცი, სანიტარული სამსახურიც ხშირად შემოდის საბავშვო ბაღში. ჰიგიენური ნორმები რამდენადაა დაცული?

–საკანცელარიო ნივთები და ჰიგიენის საშუალებები სისტემატურად მოგვეწოდება. კვირაში ორჯერ ხდება ჭურჭლის დეზინფექცია. ყოველი თვის პარასკევი გამოცხადებულია სანიტარულ-ჰიგიენურად დასუფთავების დღედ. მოწმდება ბავშვების საკვები პროდუქტები. ყოველ კვირა შემოდის როგორც ადგილობრივი სანიტარული სამსახური, ასევე რეგიონული და დარღვევა, ფაქტობრივად, არასდროს აღმოუჩენიათ, ძალიან კმაყოფილები არიან ხოლმე. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, საბავშო ბაღების ინფრასტრუქტურა ძალიან მაღალ დონეზეა. კვება სამჯერადია და მრავალფეროვანი.

- რამდენი თანამშრომელი ხართ ბაღში? თუ ხდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება?

ამ ეტაპზე 11 თანამშრომელი ვართ. ახალი სტანდარტები დამტკიცდა 2017 წლის ოქტომბერში, საგანმანათლებლო კუთხით. ეტაპობრივად და სისტემატურად ხდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი გურასპაშვილის და ბაღების გაერთიანების უფროსის, დავით ნოზაძის მხარდაჭერა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან ვაკეთებთ საქმეს, რომელიც ქვეყნის ხვალინდელი დღეა და ბავშვებზე ზრუნვით, ჩვენი ქვეყნის მომავალს ვქმნით.

თ, ჯავახიშვილი

სოფელ ფლევში გამწვანების აქცია მოეწყო

სოფელ ფლევში სოფლის მაჟორიტარის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი-დამოუკიდებლების“ თავმჯდომარის მიხეილ კაპანაძის ინიციატივითა და ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომით გამწვანების აქცია მოეწყო.

გარემოს დაცვის შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსთან გიორგი ნიკოლეიშვილთან და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად დაირგო 300 ძირი მარადმწვანე ნერგი.

აქციას შეუერთდნენ ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე და მერის წარმომადგენელი ფლევის ადმინისტრაციულ ერთეულში როინ ცხოვრებაძე. გამწვანების აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა

შიდა ქართლის წარმომადგენელ-გუბერნატორმა **გიორგი ხოჯევანიშვილმა**, სოციალური ქსელის საშუალებით, ინფორმაცია გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა. როგორც იცით, პროცესი გარკვეული დროის განმავლობაში, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, შეჩერებული იყო, თუმცა ახლა სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და მუზეუმი ზაფხულის სეზონზე უკვე შეძლებს დამთვალიერებლებს უმასპინძლოს.

ყიფიანის სახლ-მუზეუმის აღდგენა-რეაბილტაციას მრავალმხირივი დატვირთვა აქვს და მოხარული ვარ, რომ ამ პროცესში შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს. ისეთ საზოგადო მოღვაწეს, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო, ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი დაფასება სჭირდება. გარდა ამისა, ქვიშხეთი საკურორტო ზონაა და შესაბამისად, მუზეუმების, კულტურული ძეგლებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც ტურისტული პროტენციალის ზრდას, ისე ადგილზე ეკონომიკის განვითარებას, რაც თავისთავად, სასიკეთოდ აისახება ადგილობრივების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ამ დროისთვის, ჩვენი პრიორიტეტი მიმდინარე სამუშაოების ხარისხიანად და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაა. სწორედ ამიტომ, სამხარეო ადმინისტრაცია და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები მაქსიმალურად ვართ მობილიზებულები, რომ რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობა იყოს ეფექტიანი და თითოეული მოსახლის კეთილდღეობაზე აისახოს პროექტების განხორციელებით მიღებული შედეგი.

სადაც მოხვდე, სიკეთე თესე

სკოლას არავითარი ჯილდო არ სჭირდება, ერთი საოცნებო და სანუკვარი ჯილდოს გარდა, როცა შენი აღზრდილი დაფრთიანდება და შორს წავა... წავა, მაგრამ დაგიბრუნდება იმ სიყვარულით და სიკეთით, რომელიც ასწავლე-როგორ ეყურებინა სამყაროსთვის სიყვარულის და სიკეთის თვალით. მაშინ ჩამოგიგორდება სიამოვნების ცრემლი და სკოლა ხარობს, იღებს შეუდარებელ ჯილდოს.

მოულოდნელი სიხარული მოგვანიჭა ფლევის საკრებულოს დეპუტატმა მიხეილ კაპანაძემ, როდესაც ფლევის საჯარო სკოლაში, საჩუქრებით დატვირთული გვეწვია და თითოეულ მოსწავლეს გული სიხარულით აუვსო. თვალწინ დამიდგა ის დღეები, როდესაც იგი აქ, ამ კედლებში თვალანთებული შემოგვყურებდა და იღებდა სულიერ საზრდოს, რომელსაც შემდგომ უხვად გააბნევდა.

ნონა გელაშვილი,
ფლევის საჯარო სკოლის დაწყებითი
კლასის პედაგოგი

გომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტი - `ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია სკოლაში“ განახორციელეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის, გომის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა, სამოქალაქო განათლების პედაგოგ ციური თედიაშვილის ხელმძღვანელობით, პროექტი - „ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია სკოლაში“ განახორციელეს.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეებმა დაგეგმეს და ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობა ჩაატარეს. სკოლის აღსაზრდელები სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობდნენ, მათ ასევე ჯანსაღი კვების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სასარგებლო პროდუქტებით კერძები მოამზადეს.

ცხადდება ფოტო-კონკურსი

ევროპის საბჭოს დაარსების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ევროპის საბჭო აცხადებს ფოტო-კონკურსს #MakingEurope2019.

კონკურსის წესები:

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მსურველებმა უნდა შეარჩიონ ქვემოთ მოცემული ერთი ან რამდენიმე კატეგორია, გადაიღონ ფოტო და გამოაქვეყნონ ინსტაგრამ-ზე. დასაშვებია ერთი ავტორის მიერ ერთზე მეტი ფოტოს წარდგენა ერთ ან რამდენიმე კატეგორიაში.

ფოტოს განთავსებისას კონკურსანტებმა უნდა მიუთითონ ევროპის საბჭოს ინსტაგრამ გვერდი @councilofeurope, გამოიყენონ ჰაშთაგი #MakingEurope2019 და ასევე, მიუთითონ შესაბამისი კატეგორიის ჰაშთაგი:

#people
#places
#moments
#challenges
#blackandwhite

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია 13 წლის ასაკის ზემოთ ნებისმიერ პირს, რომელიც ცხოვრობს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში.

კონკურსი დაიწყება 2019 წლის 4 თებერვალს და გაგრძელდება 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ჟიური შეარჩევს გამარჯვებულ ფოტოს, მისი ხარისხის და კრეატიულობის მიხედვით, იმ ფოტოებს შორის, რომლებსაც მეტი მოწონება (like) ექნებათ. თითოეულ კატეგორიაში დაჯილდოვდება 1 ფოტო და ასევე კონკურსს ეყოლება 1 საერთო გამარჯვებული.

2019 წლის 30 ივნისს ცნობილი გახდება 6 გამარჯვებულის ვინაობა, რომლებიც მიიღებენ ევროპის საბჭოს სპეციალურ დიპლომს. დიპლომების გადაცემა მოხდება 2019 წლის ოქტომბერში, 70 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ სპეციალურ ღონისძიებაზე. საუკეთესო ფოტოები და გამარჯვებული ფოტოები გამოიფინება სტრასბურგში, ევროპის საბჭოში.

შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით: photo.competition@coe.int.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.